მითი საქმიანობა საბოლოოდ დაკავშირდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების აღზრდის პროცესთან და ეს ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა. 7 წლის წინ გადავწყვიტე ჩემი ძაღვები ახლა უკვე ზოგად საგანმანათლებლო სკოლაში მომესინჯა, ეს იყო პირველი ნაბიჯი ინკლუზიური განათლებისკენ. რა თქმა უნდა, თავიდან იყო სირთულეები, მაგრამ სკოლის დირექციის ხელშეწყობით, დაუღალავი შრომით, სიახლეების ძებნით და მონდომებით შეეძლო წარმატების მიღწევა. როგორც დავრწმუნდი, ეს სწორი ნაბიჯი იყო.

როგორია სპეციალური მასწავლებლის ერთი დღე? ძირითადად, რა სირთულეების გადალახვა გინევთ?

ყოველი დღე საინტერესო და განსხვავებულია, მაგრამ მათ საერთოც ბევრი აქვთ. ჩემი სამუშაო დღე იწყება სსსმ მოსწავლეების მოკითხვით, ვიცი თითოეულის ისტორია, ოჯახური მდგომარეობა. სისტემატიური კონტაქტი მაქვს მშობლებთან, სკოლაში მყოფ და-ძმებთან. ხელს ვუწყობ სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდას. აქტიურად ვმონაწილეობ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა-განხორციელებაში. საგნის მასწავლებლებთან ერთად ვმუშაობ სასწავლო პროცესის დაგეგმვა-ადაპტირებაში. ვცდილობ, დრო თანაბრად გადავანაწილო ყველა მოსწავლეზე. მუშაობის პროცესში მუდმივად ვიყენებ დამოუკიდებელი ცხოვრების პრინციპებს. ჩემი მიზანია თითოეული სსსმ მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა, ასევე იმ უნარ-ჩვევების დაუფლება, რაც გამომადგებათ სკოლის შემდგომი განათლების მიღებაში და ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ სწრაფ და მაქსიმალურ ინტეგრირებას.

სირთულეები წლების წინ უფრო იყო, ამ ეტაპზე გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ არის გამოწვევებიც, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სკოლების მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და ჯერ კიდევ არასათანადო ადაპტირებული გარემო. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ დღითი დღე, თანმიმდევრულად, მივდივართ პროგრესისკენ და ეს მახარებს.

მოგიყვებით თქვენს მოსწავლეებზე, მათთან მუშაობის მეთოდებსა და ურთიერთობებზე...

ხანგრძლივი პედაგოგიური საქმიანობის პროცესში მომიწია მუშაობა სხვადასხვა დარღვევის, სირთულის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან. აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა თითოეულ მათგანთან. მუშაობის პროცესში ვითვალისწინებ არა მხოლოდ ბავშვის შესაძლებლობებს, საჭიროებებს და ინტერესებს, არამედ მშობლის პრიორიტეტებს. სწავლების პროცესში უპირატესობას ვანიჭებ მულტიმედიალურ მეთოდს, ასევე, ეფექტურია კეთებით სწავლება. მოსწავლეებთან ურთიერთობები მაქვს როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ გარემოშიც. გავიხსენებ წინა სადღესასწაულო სამზადისებს, საკლასო, სასკოლო და სარაიონო ღონისძიებების მზადების პროცესებს, ექსკურსიებს, სადაც ყველა ერთად ჩართულია დიდი ხალხით, მონდომებით და ინტერესით.

სიამოვნებას მანიჭებს ჩემს მოსწავლეებთან გატარებული დრო, თითოეული გაკვეთილი და მათი მცირედი წარმატებაც კი მამბუნებებს.

შეგიძლიათ, ერთგვარი რჩევა კოლეგებს, როგორ მოექცნენ, თუ კლასში სსსმ ან შშმ მოსწავლე ჰყავთ?

-პირველ რიგში, აუცილებელია ბავშ-

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი (სპმთპ) ულოცავს სსსმ ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის სპეციალურ მასწავლებელს ირინა ფიროსმანაშვილს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით სტატუსის ამაღლებას, რომელიც პირველი ნამყვანი სპეციალური მასწავლებელია ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში.

ვების სიყვარული, საქმიანობა ერთგულება, დიდი პასუხისმგებლობის გრძობა და შეუწელებელი ყურადღება. ასევე, მნიშვნელოვანია მოსწავლისათვის ადეკვატური სასწავლო გარემოს შექმნა, პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება თანატოლებთან. გასათვალისწინებელია სირთულეების დროს წინააღმდეგობების გადალახვისადმი მზადყოფნაც. კოლეგებს გაუზიარებ საკუთარ გამოცდილებას და ვურჩევ აქტიურად გამოიყენონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული ლიტერატურა; მუშაობის პროცესში ძალიან მენებარება ინტერნეტი მოძიებული მასალები, სასურველია სიახლეების ერთმანეთისთვის გაზიარებაც. წარმატების მისაღწევად უფალესად საჭიროა სისტემატიური მუშაობა საკუთარ თავზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა.

-სსსმ ბავშვთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. რით ახსნით ამას?

- დიას, მათი რაოდენობა მატულობს და ამას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. ადრე ოჯახები ძალადუნდნ ასეთ ბავშვებს, დღეს ეს დამოუკიდებელია მკვეთრად შეიცვალა, თუმცა, ისევ არიან მშობლები, რომლებთანაც მუშაობაა საჭირო. უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში შედეგი მოსალოდნელია, მაგრამ ამას დიდი ნებისყოფა, შრომა, მუდმივი და კომპლექსური დაკვირვება და მკურნალობა საჭიროდება. ჩემს პრაქტიკაში ასეთი შედეგი უკვე დამდგარია: პირველი კლასიდან მეშვიდე კლასამდე ჩემთან ერთად მეორე სკოლის მთელი პედაგოგიკური და ლანა თეთრადის მშობლები ვიბრძვი ლანას სოციალიზაციისათვის, რომელიც დღეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრია.

პროგრესს. რა თქმა უნდა, ჩემთვის და ყველა მასწავლებლისთვის უდიდესი სტიმულია, როცა ვხედავთ ჩვენი შრომის თვალსაჩინო შედეგებს. მინდა წარმატება ვუსურვო კოლეგებს შრომით საქმიანობაში ქვეყნისა და მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.

მანამ, სანამ მინისტრის ბრძანება მოვიდოდა, მას ირინას, როგორც პროფესიონალის, არაერთი წარმატება უძღვეოდა წინ. 2019 წელს საქართველოში პირველად ჩატარდა წლის საუკეთესო სპეცმასწავლებლის კონკურსი, სადაც ირინამაც მიიღო მონაწილეობა, პირველი ადგილი დაიკავა და წლის საუკეთესო სპეციალურ მასწავლებლად აღიარეს. დაჯილდოება 2020 წლის 2 მარტს შედგა თბილისის მასწავლებელთა სახლში. შემდეგ პანდემიამ შეაჩერა პროცესები და მინისტრის ბრძანება ირინასთვისაც ძალიან მოულოდნელი იყო, თუმცა, დიდი სიხარული და სიამაყე მიანიჭა. ამასთან, დიდი პასუხისმგებლობის გრძობაც გაუჩინა.

-მართლაც, ეს მოულოდნელი სიხარული იყო და პასუხისმგებლობაც მეტი დამეკისრა. თუმცა, მინდა, ვთქვა, რომ მე, ერთი ადამიანი, როგორც გინდა განათლება გამოცდილება მქონდეს, ასეთ შედეგებს ვერ მივაღწევდი, რომ არა იმ ადამიანების მხარში დგომა, ვისთანაც ეს საქმე მაკავშირებს. მადლობა რესურსცენტრს და მის ხელმძღვანელს ეთერ დავითაშვილს, რომელიც მთელ სისტემაში გამორჩეულად უწყობს ხელს ინკლუზიური განათლების განვითარებას, მადლობა ჩემი სკოლის დირექციას, დირექტორს ლალი იაკობიშვილს და მულტიდისციპლინარულ გუნდს, ასევე, სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო ცენტრის დირექტორს მაია ყოჩიაშვილს და



ქვეყანაში სპეციალური მასწავლებლების დეფიციტია, რას ფიქრობთ ამის შესახებ?

-ეს ნამდვილად ასეა და ამ მდგომარეობას თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს. პირველთაგან გამოვყოფდი, ზოგ შემთხვევაში, მასწავლებლების სუბიექტურ დამოკიდებულებას ინკლუზიური განათლებისადმი, მუშაობის სირთულისადმი. რაც შეეხება ობიექტურ მიზეზებს, მათი აღმოფხვრის მიზნით ვისურვებდი სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცებას, რაც აუცილებლად შეუწყობს ხელს ამ პროფესიის პოპულარიზაციას.

მოტივაციის სახით რას ეტყვიან კოლეგებს — ბევრი სირთულის მიუხედავად ამ პროფესიისთვის მსახურება რას ნიშნავს თქვენთვის?

-ამ პროფესიის მსახურება ჩემთვის ნიშნავს ბევრი პირადულის გვერდზე გადადებას, თავდაუზოგავ შრომას და, რაც მთავარია, ბავშვების სიყვარულს. ძალიან მნიშვნელოვანია, როცა მოსწავლე გრძობს შენს დამოკიდებულებას და სიტბოს. ასევე აღსანიშნავია მშობლის მადლიერი თვალები, როდესაც ის ხედავს მისი შვილის აღზრდა-განვითარებაში

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირის მხარდაჭერისა და თანადგომისათვის,-

ამბობს ქალბატონი ირინა. ირინა თავის ცოდნას და გამოცდილებას სკოლის მოსწავლეებთან ერთად სკოლამდელი აღზრდის ბავშვებსაც ერთგულად ახმარს. ის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო ცენტრის ინკლუზიური განათლების სპეციალისტია და მუნიციპალიტეტის 17 ბაღს ემსახურება, ის მთელ ქსელში ინკლუზიური განათლების დაგეგმვა-განხორციელებას ხელმძღვანელობს. ირინა მუდამ მზად არის, თავისი გამოცდილება უანგაროდ გაუზიაროს კოლეგებს ჩვენი და სხვა მუნიციპალიტეტებიდანაც კი, რომლებიც ონლაინ-რეჟიმში ხშირად უკავშირდებიან მას. ასე რომ, ირინა ფიროსმანაშვილს, როგორც იტყვიან, ერთი წუთი მოცლა არა აქვს, მაგრამ თავის გარემომცოვებისათვის სიტბოსა და სიყვარულის გასაცემად მანაც პოულობს დროს. ამიტომ, მისი ცხოვრება = ურთიერთსიყვარულითაა გაჯერებული, რაც მას = აბუნებურებს. ვუსურვოთ წარმატებები ქალბატონ ირინას პროფესიულ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

ნაირა გორაშვილი

რა არის ინკლუზიური განათლება?
ინკლუზია არის საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას სკოლაში, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სწავლების დაწესებულებებში იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შენეებებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური თუ სხვა თავისებურება ახასიათებთ მოსწავლეებს.
ინკლუზიური განათლების ამომავალი დებულებაა, რომ ყველა იბადება ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ თანასწორუფლებიანი და რომ, მიუხედავად განსხვავებულობისა, ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილი უნდა იქნას თანაბარი შესაძლებლობებით.

სსსმპ - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი.
 შშმპ- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

„ქართველი ყველგან ქართველია“...

/მე-6 გვერდიდან/

მე უკვე კარგად ვიცოდი თურქული. დავინყე 3 ინსტიტუტში მუშაობა და, პარალელურად, მუნიციპალიტეტის ხალხისთვის გახსნილ კურსებზე რუსულის სწავლება, კვირაში 7 დღე, 14 საათი. ისე დავრბოდი, როგორც ქარაშოტი. მადლობა ჩემს მეუღლეს, სულ გვერდში მედგა.

სანამ ჩემი შვილი მელიკე-თამარი სკოლაში მივიდოდა, სულ თან დამყავდა, წყნარად იჯდა და მისმენდა, მერე სკოლაში მივიყვანეთ და მართო შაბათ-კვირას დავდიოდით ერთად, ჩემი ლამაზი კუდი, - ასე ვეფერებოდი.

ყოველ წელს შემქონდა განცხადება მუნიციპალიტეტში, ძალიან მინდოდა ოფიციალური სტატუსით ქართული ენის კლასის გახსნა, მაგრამ იმ პერიოდში თურქეთს დიდი პრობლემები ჰქონდა ქურთულ ეთნიკურ მოსახლეობასთან დაკავშირებით და ქართველებს თუ მისცემდნენ თავიანთ ენაზე სწავლა-განათლების უფლებას სახელმწიფო სისტემაში, ეს გამოიწვევდა პრობლემებს, მე ასე მისხნიდნენ.

ამიტომ კარამურსელში, მუნიციპალიტეტის შენობაში მოგვეცეს ერთი დიდი ოთახი და კვირაში ორი დღე, სამ-სამი საათით 2011 წელს დავინყეთ მეცადინეობა ქართულად.

ჩემი მოსწავლეები იყვნენ: ზეჟი ართან ვარდიშვილი- ჟურნალისტი, რეიჰან ქესქინი-მასწავლებელი, ომარ ქესქინი - მასწავლებელი, სეიჰან ართანი - სახელმწიფო ხაზინის მოხელე, ჰუსეინ ქარაჯანი — მშენებელი ინჟინერი, ოსმან დემირი მჭედლიძე-კონდიტერი.

ისევე გამოგვკარგეს გაზეთებში, ადგილობრივ ტელევიზიაში გადაგვიღეს, აზრზე არ ვარ, საიდან გაიგო საქართველოს დიასპორამ, გამოგვიგზავნეს უფასოდ უამრავი წიგნი. 2012 - 2013 წლებში უკვე იზმითი ქოჯაელის მუნიციპალიტეტმა ოფიციალურად სერტიფიკატით გავვიხსნა კლასი.

სამწუხაროდ, საქართველოდან გამოგზავნილი წიგნები ვერ გამოვიყენეთ. ეს წიგნები დანერილია საზღვარგარეთ მაცხოვრებელი ქართველებისთვის და მათი შვილებისთვის, რომლებიც, ალბათ, ბოლო ხანებში არიან წასულები და, ასე თუ ისე, იციან ახალი ქართული.

ჩემი ქართველების წინაპრები 200-400 წლის წინ არიან თურქეთში ჩარჩენილები ან ჩამოსახლებულები, ამიტომ ჯერ მე მომიწია მათი დიალექტის შესწავლა. მართალია ყოველ სიტყვას ვწერდი დაფაზე და ახალი ქართულით ვასწორებდი, ბოლოს და ბოლოს, მაინც თავის ენაზე მომაქციეს, კარგად იციან, მაგალითად, როგორ ხარ, მაგრამ წლების მერეც კი ასე მკითხულობენ: კაი ხარა თუ?

ერთმა 90 წლის მოსწავლე ბებია, რომელიც შვილიშვილით იყო მოსული, ასე მითხრა, რა ენაზე ლაპარაკობ, შვილო, ეს გურჯული არ არისო. დღემდე ვაგრძელებთ გაკვეთილებს ქალაქ გოლჯუქში, რომლის მოსახლეობის 95 პროცენტი ქართველია, პატარა საქართველოა თავისი ულამაზესი ქართველებით.

წელს ვნახოთ, მინდა, რომ უფრო ახალგაზრდები მოვიდნენ სკოლებში. მეშვიდე-მერვე კლასებში უკვე შეიტანეს, როგორც შერჩევითი ენა, უნივერსიტეტებშიც გაიხსნა 4-წლიანი ქართული ენის ფაკულტეტი. ერთი სიტყვით, ბედნიერი ვარ ასეთი წინსვლით, როგორც ბებია მითხრა, ქართველი ყველგან ქართველია.

„ჩაჯარდნილი ვარ უძირო ჭაში და
„ფრთები ძირში მაქვს მომსწერული,
სჯობს დაჟამთაჟრო ბედთან თამაში,
რომ მოვაფერო სულს ეს სსეული,
რომ მოვიფრინო მთელი საქართო.“
- სვედის მიღმა რა იმალება?

-რაც შეეხება სვედას, იყო, არის და ყოველთვის იქნება. მენატრება სამშობლო, ჩემი საქართველო და ჩემი სოფელი, ყოველთვის მენატრება, გულის ნახევარი მანდ დამრჩა.

- „სიცოცხლე ზეიმი როდია,
როდისმე სიძარტლეს მოგწერ,
მოგწერ რომ გამიტება ცრემლები,
რომ სულში უწყვეტი ბიხდია“

-ეს სტრიქონები თქვენი ლექსიდანაა. მაინც როგორია ცხოვრება?

-ცხოვრება ძნელია, მაგრამ მაინც საჭიროა ბრძოლა, სიმწიფეების გადალახვის გარეშე არ არსებობს წინსვლა, განვითარება და გაზრდა...

-„უცნაურად ამითრთოდა გული,
ცას უცნაურს, მზის დიმილით ვხედავ,
და ჩემს სულშიც დგება გაზაფხული“

-თქვენ და სიყვარული...

-სიყვარული ჩემთვის, პირველ რიგში ამაგია, სიკეთისთვის დახარჯული ამაგი, მიყვარს სიცოცხლე და ყველა, ვინც პირველ რიგში სიცოცხლეს და სილამაზეს სიკეთის თესვით უფრთხილდება.

„იმ მეცხაღვით გაგიფრინდი, გაზაფხულზე უკან დაბრუნებას რომ იმედოვნებდა...“ როგორია ემიგრანტის ცხოვრება?

-ემიგრანტობა ჩემთვის ძნელია, ვერ შეგეგუე, სულ დაბრუნებაზე ვფიქრობ და ვოცნებობ. იმედია, ოცნებები როდისმე ამისრულდება...

p.s. ბაზაში დასაბუთდად მზად იყო, როდესაც ბავიგით, რომ მანა ნიკლაუსის პირველი პოეტიური კრებული გამოიცა „მე დავბრუნდები“. წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „კალმოსანში“.

ახლო მომავალში, იხილავთ წიგნის მალაზიებში. აქვე ვთავაზობთ რედაქტორის წინასიტყვაობას: „წარმოგიდგინეთ საინტერესო ხელოვნება - მანა ნიკლაუსის პირველი წიგნი, რომელიც მისი ლექსების კრებულს „მე დავბრუნდები“ - ასეთი სათაური ბანიზრასა ემიგრანტთა ავტორმა საქართველოში წიგნისთვის.

სამაგოდ მოცულობითი გამოვიდა წიგნი, სხვადასხვა წლებში დაწერილი ლექსებით მანა ნიკლაუსის ესმინება საზოგადოებას და საკუთარ გულის დადოვს გაანდოვს. რომანტიზირებას ახდენს მოვლენათა და ფაქტთა, გააჩნია მძაფრი ნოსტალგია საზოგადოებრივ მონათრევის, გარდასულ დროთა ჰომიტიკურ და ნებატიკურ მხარეებზე საუბრობს ავტორი, ცდილობს, რომ ოპტიმისტი იყოს და განვიღიწი წლები ოპიკ-ტურად შეაფასოს. ავტორისთვის თამასაც ენა, ასევე, მამოზრობისა და თავისუფლების თემატიკა სრას მის პოეზიაში.

ჩემი ლექსებისა და გამართულია, როგორც აზრობრივად, ისე სტრუქტურულად, თუმცა რამდენიმე ლექსში დარღვეულია თხრობის დინამიკა და სუსტი სარიტომო სიტყვათშეთანხმებები არის წარმოგვიჩინი.

მანა ნიკლაუსის შინაგანი სამყაროს გამოხატულება მისი პოეზია, ისეთი უშუალო და გუნებრივი თხრობის სტილი, რომ გითხვავს ალტიმეზული მიხვევა ავტორს ოცნებათა უსასრულოებაში. დარღობს ავტორი, განვიღი ცხოვრებას იხსენებს, საზოგადოებრივ დასჯილ ბარამოებზე ამხვილავს ჭრა-დებებს; იხსენებს ბავშვობას და ტავილ მოგონებებს და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მრავალი წელია უცხოეთში ცხოვრობს, საზოგადოებრივ დაბრუნების სურვილი მოსვენებას არ აძლავს.

სიყვარულის თემა იმდენად სათუთი და საინტერესოა მის პოეზიაში, რომ გითხვავს უსათუოდ იბრძობს ავტორის შინაგან სამყაროს, დარწმუნება იმაში, რომ სიყვარულითა და სიკეთით სავსე აღამიანი წერს ამ სტროფებს.

პოეტიური კრებული „მე დავბრუნდები“ საინტერესოა. გითხვავს დიდ სიამოვნებას მიიღებს მანა ნიკლაუსის ლექსების წაკითხვით და ვფიქრობთ, რომ დადებითად შეაფასებს საზოგადოება მის პირველ წიგნს.“-წერს წიგნის რედაქტორი გორგინაძე (ლევან გორგინაძე).

ავტორს და მის წიგნს ვუსურვებთ წარმატებას, შემოქმედებით განვითარებას და მკითხველის სიყვარულს! ინგა შიოლაშვილი

გოდერძი, გია აბულაშვილები, ეთერ ფიცხელაური ოჯახთან ერთად იუნყებიან უახლოესი მეგობრის თანგზი ბიორბის ქი იაკობიშვილის მოულოდნელ გარდაცვალებას და თანაგრძობას უცხადებენ მეუღლეს ნინო ნატროშვილს, შვილებს: თამარ და გიორგი იაკობიშვილებს, დას მარგო იაკობიშვილს და მთელ ოჯახს.

გოდერძი, ირმა, ირინა, ნინო იაკობიშვილები ოჯახებით მწუხარებას გამოვთქვამთ თანგზი იაკობიშვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძობას ვუცხადებთ ნინო ნატროშვილისა და მარგო იაკობიშვილის ოჯახებს.

მადლიერება!

ქალი ყველა ასაკში ლამაზი-ამბობენ. ყოველ შემთხვევაში, ქალებს გვსურს, რომ ყოველთვის კარგად გამოვიყურებოდეთ. სარკეში ჩახედვისას საკუთარი ანარეკლის არ გვემინოდეს და ღიმილის მიზეზიც ხშირად გვექონდეს. საკუთარ თავში დარწმუნებული ქალი ხომ ბედნიერებასა და სითბოს ასხივებს, პოზიტივი კი დაგამდებია გარშემომყოფთათვის. ეს კი სილამაზის სალონების გარეშე წარმოუდგენელია. ჩვენს რაიონში არის ერთი ასეთი „სილამაზის ჯადოქარი“ - ირმა ბადრიშვილი. მის ხელებს სასწაულების მოხდენა შეუძლია. ბევრ ახალგაზრდა გოგონას გარდატეხის ასაკში მოუგვარა აკნეს პრობლემა და მოუწერია სახის კანი. ასაკოვან ქალებს ეხმარება ნაოჭების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად მისი საოცარი სითბო და ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება აჯადოვებს მასთან მისულ ადამიანებს. ამ ფაქტორის გამო, მისი მომსახურების მიღების მსურველთა რიგიც საკმაოდ გრძელია და წინასწარი ჯავშნის გარეშე მასთან მოხვედრა შეუძლებელია.

მადლიერი მომხმარებლების სახელით, გვინდა, საჯარო მადლობა გამოვუცხადოთ მას. დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა ვუსურვოთ ჩვენს საიმედოდ.

უახლოესი მეზობლები: მარინა და გურამ მოლაშვილები, ვაჟა და სოსო ნატროშვილები, ზიზი და ვალერი ყოჩიაშვილები, გია და ნანა ჯანაშვილები, მირიან პოპიაშვილი, თამრიკო ჯანაშვილი, ვიოლა და ლია რობიტაშვილები, ნინო ნატროშვილი ოჯახებით იუნყებიან
თანგზი ბოსტოლანაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის თანამშრომელი თანაგრძობას უცხადებენ ნონა ჯიბლაშვილს მამის მინილ (მინო) ჯიბლაშვილის გარდაცვალების გამო.

ლალი ბოჭორიშვილი, ჯიმი, გია და ლია ალუღიშვილები ოჯახებით თანაგრძობას უცხადებენ ნონა, ანა, ნინო, ლევან და თეკლა ჯიბლაშვილებს მამის და პაპის მინილ (მინო) ჯიბლაშვილის გარდაცვალების გამო.

მადლენა ყოჩიაშვილი, ეკა და მაკა აფციაურები, ნაზი მოსამვილი, ილიკო ბიკაშვილი იუნყებიან თანგზი იაკობიშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ნინო ნატროშვილს, გიორგი და თამუნა იაკობიშვილებს მეუღლისა და მამის გარდაცვალების გამო.

თანაკლასელები: ციური ხუციშვილი, ციკო ტუხაშვილი, ნელი ყოჩიაშვილი, ლალი ავსაჯანიშვილი სამძიმარს უცხადებენ ნინო ნატროშვილს მეუღლის თანგზი იაკობიშვილის გარდაცვალების გამო.

კაკო სამუქაშვილის და მეველედ გიგოლაშვილის ოჯახები იუნყებიან თანგზი იაკობიშვილის გარდაცვალებას და თანაგრძობას უცხადებენ ნინო ნატროშვილს მეუღლის, გიორგი და თამარ იაკობიშვილებს მამის გარდაცვალების გამო.

ეგული და დიმიტრი ყოჩიაშვილების ოჯახი თანაგრძობას ნინო ნატროშვილს და მის შვილებს მეუღლისა და მამის თანგზი იაკობიშვილის გარდაცვალების გამო.

მადლენა ყოჩიაშვილი, ეკა და მაკა აფციაურები, ნაზი მოსამვილი, ილიკო ბიკაშვილი იუნყებიან თანგზი რობიტაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძობას უცხადებენ თებრო აფციაურს, ირმა და გოგიტა რობიტაშვილებს მეუღლისა და მამის გარდაცვალების გამო.

2020 წლის ნომინაციაში „ჩვენი დროის ადამიანები“ პირველი ოცეულის ნომინანტთა სახელით გოდერძი გონაშვილი, გივი ღვინიაშვილი და ნიკოლოზ ბენიანიძე ღრმა მწუხარებით იუნყებიან ამავე ნომინაციის ნომინანტების თანგზი იაკობიშვილის და მარგო რობიტაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძობას უცხადებენ მათ ოჯახებს და ახლობლებს.

სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები ივერი ჭუჭულაშვილი, ზურა თეთვაძე, ჯემალი კვანჭილაშვილი, თამაზ ჯანაშვილი, ზურიკო ტოკლიკიშვილი, მერაბ ფიროსმანაშვილი, ნანა აფციაური, ნანა ჭიჭინაძე, მაცყალა მამულაშვილი, თამრიკო პაპიაშვილი თანაგრძობას უცხადებენ მეუღლეს თებრო აფციაურს, შვილებს ირმა და გოგიტა რობიტაშვილებს მარგო რობიტაშვილის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „შირაჟის“ რედაქციის თანამშრომლები იუნყებიან ერთგული მკითხველის მარგო რობიტაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ამაოების გაზარი

იუმორესკა

„ქალაქის შუაგულში მდებარე ბაზარს არემონტებინ და ბარამპაჭრობასაც ბარამპაჭრობა“ - მეხივით გავარდა ეს ხმა მოვარეებს შორის. აქამდე ანეტა ბებო თავის შექმნილ მეგობრებთან ერთად საათობით იჯდა გარეთ. ზამთრის სუსხიან დღეებს ფეხებშია ჩადგმული ძველი „ვედრის“ იმედად ატარებდა, სადაც შემის ორი-სამი ნაჭერი საათობით ხრჩოლავდა და კვამლთან ერთად სითბოთიც „ანები-რებდა“. ბევრმა ვერ გაუძლო ასეთ ყოფას.

მეგობრები თანდათან შემოეცალნენ ანეტას. ის კი ჯიუტად იჯდა გარეთ და ხან მწვანის ჰყიდდა, ხან ყველს, ხან „ჭიჭყინას“. გამელელ-გამომელელს ათვალთვლებდა, გამოელაპარაკებოდა მათ და ჭრელა-ჭრულა ამბებსაც იგებდა. მის გარშემო, ღია ცის ქვეშ, ქარი ზამთარ-ზაფხულ დათარეშობდა, დაუცველ პროდუქტებს „დავლურს ჩამოუვლიდა“ და სიყვარულით მტვერსაც შეაყრიდა. ანეტა კი მყიდველს წარბეჭედებდა უმტიციტებდა, რომ მისი პროდუქტი შეუდარებლად სანდო და სუფთა იყო...

გარეგანობის გაუქმების ამბავმა სიმართლი დაუარა ტანში. თანამოვარეები ამშვიდებდნენ, რომ რეაბილიტირებულ, სუფთა გარემოში ვაჭრობა ბევრად კარგი იქნებოდა, სიცხე, სიცხე და ანტისანიტა-

რიაც აღარ შეანუხებდა. გულის სიღრმეში ეს კი მოსწონდა, მაგრამ მას სხვა „მუცლის გერემა“ ჰკლავდა - გარეთ გადასახადს არავინ სთხოვდა!

ბაზრის შიგნით მაინც შეიყვანეს. ახალ და სუფთა დახლზე დღიური გადასახადი დაუნესეს. პროდუქცია ახლა სუფთა იყო, მაგრამ ძვირი. მყიდველი მოაკლდა, გამველ-გამომველსაც ძველებურად ვეღარ ხვდებოდა, „თვალს წყალს ვეღარ ალევინებდა“.

ახლა სხვები ისხდნენ გარეთ და მასთან ხალხს აღარ უშვებდნენ - „მტიციტე სჯე-როდა“ თავისი ვერსიის.

ყველაფერს ახალ დროებს აბრალებდა და ძველ დროს მისტიროდა.

თავდაცვითი ძველი ყაიდის ქალი იყო. კარგი სამსახურის და ფულის ყადრი რომ იცოდა, აი, ისეთი. არაერთი ორგანიზაციის ბუღალტერი იყო მოღარედ ნამუშევარს დიდად არ ებიძგებოდა ბაზარში დგომა და ვაჭრობა, მაგრამ გაჭირვებამ ასე ინება. მერე ფულს გემო აქაც გაუგო. იაფად ყიდულობდა და ძვირად ყიდდა. ზოგს წონამიც ატყუებდა - აბა, რა ექნა, მართლა კაპიკების გამო აქ დგომას რა აზრი ექნებოდა? გუნებაში ძველად გაგონილი ფრაზა ასხენდებოდა - ვაჭრობაში ფულიაო. ახლა, ბაზარში ნაშოვნის ფულით შვილიშვილის სწავლას აფინანსებდა.

ერთ დღეს ახალგაზრდა გოგონა შემოვიდა ბაზარში და მისი დახლისკენ გაემართა. გაუკვირდა ანეტას. მასთან დიდი ხანია, ასეთი ღიმილიანი სახით არავინ მისულა. შვილის კლასელი გამოდგა.

გამოელაპარაკა, მოიკითხა და მარწყვი მისგან იყიდა.

ერთი კილოგრამი ამინონე, ანეტა დეიდა, ბავშვებისთვის მიწადა, ხომ კარგი მარწყვია?-ჰკითხა დეამ.

ახალი მარწყვია, შვილო, დღეს დილით მოიტანეს - დაამედა ანეტამ და დასძინა: - აი, ნახე, ცოტას კიდევ დაგიმატებ, ეს ჩემს ანგარიშში შენს შვილებს ნაუღ!

სასწორი მომართა და სანამ ასანონად გამზადებულ მარწყვს დადებდა, ელექტრო სასწორის ციფერბლატმა გაურკვეველად დაიწყო თვალის პაჭუნა. „ხან ინთება, ხან-ქრება, მენი კი დავაყარე ამ ახალ ტექნიკას. იმ გირებს ისე კარგად ვმბარობდი, მილიგრამებსაც კი არავის ვაკლებდი“ - აწუნუნდა აქეთ გამყიდველი და იქეთ სასწორი, პატრონისგან არაერთგზის ნატანჯი. „კიდევ კარგი, მაგას ენა არ აქვს, თორემ რამდენსართულიანს შეუკურთხებდაა“ - ახითხითდნენ გარშემო მყოფები. „სასწორს დააბრალე, მიდი, ძველად განა ვინმეს ატყუებდა?“ - რეპლიკა ესროლეს შუახნის ასაკს გადაცილებულმა კაცებმა, დროის გასაყვანად ბანქოს რომ თამა-

შობდნენ. მეზობლებს აღმაცერად გადახედა და პასუხის გასაცემად მოეშადა, მაგრამ აღარ დასცალდა.

ამ განამანაში სხვა მყიდველი ჩადგა რიგში. დეამ ფული მიანოდა და, რომ შეხედა, მისთვის აღარ ეცალათ, ხურდას აღარ მოუცადა. შერცხვა, გამყიდველმა ხომ შვილებისთვის ზედმეტი გრამებიც „უფეშქაშა“.

სახლში მისულ დეას მარწყვი ეცოტავა. ანონა და, შოი, საოცრებავ, 1 კილოგრამის ნაცვლად ხელში ნახევარი კილოგრამი შერჩა! აღარსად იყო ანეტას ანგარიშში დამატებული „საფეშქაშე“ მარწყვიც.

გამწარებულმა დეამ სახლიდან უცებ ჩამოირბინა ბაზარში და ამინონე უკან მიუბრუნა მარწყვი ანეტას. გოგონებულსა და ნირშეცვილს ხმის ამოდებაც არ აცალა, ისე მიახალა - ამაოებათა ბაზარში ხართ ყველა!

ამაოების ბაზარში კი კვლავ გაისმოდა სიცხილი, ღრეჯა, თუთუნის ნევა და აყალ-მაყალი.

„ჩვენ რას ნავილებთ იმქვეყნად, სხვას არა ნაუღია რა“ - ბაზრის გარეთ მდგარ რომელიღაც მანქანაში ხმაღალა მღეროდა მაგნიტოფონი...

ინგა შიოლაშვილი

24 მარტი ტუბერკულოზთან ბრძოლის დღეა



ტუბერკულოზი განკურნებადი ინფექციური დაავადებაა, რომლის დამარცხება შესაძლებელია სწორი მკურნალობით. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე რჩება ინფექციური დაავადებებით სიკვდილიანობის წამყვან მიზეზად. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მონაცემებით ტუბერკულოზით ყოველდღიურად ავადდება 30 000 და იღუპება 4 500 ადამიანი. საქართველოში „ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამა“ ხორციელდება, რომლის მიზანი ტუბერკულოზით ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირებაა. დღეის მდგომარეობით მეთვალყურეობის ქვეშ არის 2 400 პაციენტი. 2000 წლის შემდეგ მსოფლიოში ტუბერკულოზის დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შედეგად შესაძლებელი გახდა 63 მილიონი ადამიანის გადაარჩენა.

რამდომარეა, ამ მიმართულებით ჩვენს ადგილობრივ კონტროლში, ამ კითხვაზე დედოფლისწყაროს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის ფთიზიატრიული განყოფილების უფროსი, ფთიზიატრი ცირა ლაპიაშვილი ბავშვებს ასაუბნებს.

„ქალბატონო ცირა, ტუბერკულოზის დღესთან დაკავშირებით ვიკვლევთ დაავადების სტატისტიკას, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს მუნიციპალიტეტში(ცვესმის, რომ ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია იდენტიფიკაციის მხრივ), მაგრამ მხოლოდ ციფრებს გთხოვთ, დღეს რამდენი ადამიანი აღნიშნული დაავადებით ჩვენთან, ეს რიცხვი როგორია წინა წლებთან შედარებით(მზარდი თუ კლებადი?) და რაიმე საშიშროებას ხომ არ წარმოადგენენ საზოგადოებისთვის? (ანუ ღია ფორმით ხომ არ გადაადგილდებიან ხალხში), რა მექანიზმით კონტროლდებიან ამ შემთხვევაში და რა შემაკავებელი რეგულაცია არსებობს მათთვის?“

„უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით კლებდა ტუბერკულოზის აქტიური შემთხვევების. 1995 წლიდან მუშაობს საქართველოში ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამა. თუ წინა წლებში იყო საშუალო 40-45 ავადმყოფი წლის განმავლობაში, ბოლო წლებში ეს მონაცემები ასე გამოიყურება: 2015წ-21 ავადმყოფი, 2016-16, 2017-18, 2018-17, 2019-14, 2020-14. ამჟამად მკურნალობის კურსს გადის 4 სენსიტიური და ერთი რეზისტენტული ფორმით დაავადებული პაციენტი. მკურნალობის დაწყებიდან 2-3 კვირის შემდეგ ავადმყოფი გარემომყოფთათვის საშიშროებას არ წარმოადგენს, რა თქმა უნდა, ამისი დადასტურება ხდება ბაქტერიოლოგიური კვლევების საფუძველზე. ავადმყოფი მედიკამენტებს იღებს ექთნის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ, ხორციელდება მასზე მკაცრი მონიტორინგი, ამას უზრუნველყოფს DOT სტრატეგია, რომელიც ამჟამინდელი ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, ხორციელდება სპეციალური აპლიკაციით, ვიდეოთვალის მეშვეობით. ამას აკონტროლებს დამყოლობის რეგიონალური სამსახური, იქ, სადაც არ არის წვდომა ინტერნეტზე, პაციენტს დროებით მფლობელობაში გადაეცემა მობილური ტელეფონი, რომელშიც ჩატვირთულია აღნიშნული აპლიკაცია და DOT კონტროლი, ანუ მედიკამენტების მიღება ექთნის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ ამ სისტემით ხორციელდება. სრული გამოჯანმრთელებისთვის საჭიროა მკურნალობის კურსის ბოლომდე დასრულება, ვინაიდან ეს კურსი არც ისე მცირე დროის განმავლობაში მიმდინარეობს, (სენსიტიური ტუბერკულოზის შემთხვევაში 6 თვე, ხოლო რეზისტენტულის-16-18 თვე) სახელმწიფო ახორციელებს პაციენტების ფინანსური ნახალების პროგრამას, რეზისტენტულ პაციენტებს უფინანსდებოთ ტრანსპორტირების ხარჯებიც, რაც კიდევ უფრო ამცირებს შესაძლო კონტაქტებს საზოგადოების ჯანმრთელ ნაწილთან და უზრუნველყოფს როგორც პაციენტის, ისე მისი გარემომყოფების დაცულობას. ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის მიხედვით, აქტიურად მიმდინარეობს ტუბ. კონტაქტში მყოფი პირების კვლევა, ამ კვლევის არეალი 2020 წლიდან საგრძნობლად გაფართოვდა. ყველაფრის მიუხედავად, რა თქმა უნდა, არსებობენ ე.წ. ურჩი პაციენტები, რომლებიც იმყოფებიან დამყოლობის სამსახურის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. თუ დადგინდა ვადებში პაციენტს არ ჩაიტარებს შესაბამის გამოკვლევებს და მკურნალობას, ეს გარემოება განიხილება აღნიშნული პირის მიერ სავალდებულო გამოკვლევაზე საბოლოო უარის თქმად, რაც საფუძველი ხდება „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული არანებაყოფილობითი იზოლაციის ღონისძიებების გამოყენების დაწყებისა. ამ წესის მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის ფარგლებში ტუბერკულოზის და მასთან დაკავშირებული კონტაქტების დიაგნოსტიკა და მკურნალობა უფასოა!“

პროგრამის სტრატეგია გასულ წლებში თუ იყო „შეჯივრით ტუბერკულოზი“, ამჟამად პროგრამის სტრატეგიაა „დავასრულოთ ტუბერკულოზი!“.

რა რეკომენდაციებს მისცემთ ავადმყოფებს და რას გვირჩევენ პრევენციული ზომების მისაღებად ჯანმრთელებს?

რეკომენდაციები დაავადებულთათვის: უნდა მოერიდოს ტუბერკულოზის გავრცელებას, ამისათვის, გაიკეთეთ სამედიცინო პირბადე, როდესაც გაქვთ კონტაქტი სხვა ადამიანებთან, ყოველთვის აიფარეთ ხელი ან ცხვირსახოცი, როცა ახველებთ ან აცემინებთ, ნუ დააფრთხებთ მინაზე, ნიჟარში ან ღია კონტეინერში, გამოიყენებთ ნახველისათვის განკუთვნილ თავსახურაინი კონტეინერი, ხშირად გაანიავეთ ოთახი, სადაც ატარებთ დროის უმეტეს ნაწილს, თუნდაც ზამთარში, დაიკარეთ ჯანმრთელი დიეტა ბოსტნეულით, ხილით, ცილებით და ვიტამინებით, მოერიდეთ ან შეეცადეთ შეწყვიტოთ სიგარეტის მოწვევა, დღის განმავლობაში გარკვეული დრო დაუთმეთ ფიზიკურ აქტივობას რეკომენდაციის ფარგლებში. აუცილებლად დაასრულეთ მკურნალობის კურსი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მალაღია რისკი, რომ ვერ განიკურნებით. დაავადება გააგრძელებს განვითარებას და თქვენ ისევ ახლად გახდებით. ამით გაიზრდება ოჯახის წევრებისა და საზოგადოების დაინფიცირების რისკი, ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ შესაძლოა ტუბერკულოზის ბაქტერია გახდეს რეზისტენტული, ანუ მდგრადი სამკურნალო პრეპარატების მიმართ. ყოველივე ამისთვის ჩვენს ქვეყანაში ტუბ-ზით დაავადებულ პაციენტს აქვს სახელმწიფოს მხრიდან ფსიქო-სოციალური, ემოციური, ფინანსური მხარდაჭერა.

ჯანმრთელი ნაწილისათვის: ცხოვრების ჯანსაღი წესი, ზრუნვა იმუნიტეტის ამაღლებისთვის, სიგარეტზე უარის თქმა, რადგან სიგარეტი ზრდის ტუბერკულოზით დაინფიცირების რისკს, აგრეთვე, დაავადების განვითარების რისკს. მწველებში, რომლებიც უკვე არიან დაავადებული ტუბ-ზით, ზრდის სიკვდილიანობის რისკს. ყველაზე მთავარი: საზოგადოებამ უნდა დაამარცხოს ტუბერკულოზთან დაკავშირებული სტიგმა. საეჭვო ნიშნების შემთხვევაში აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს და დიაგნოსტიკა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ ტუბ. ერთეულში, რომელიც არსებობს საქართველოს უკლებლივ ყველა რეგიონში. მოსახლეობამ უნდა მოახდინოს ისეთი დაავადებების პრევენცია, როგორცაა, მაგალითად შაქრიანი დიაბეტი და სხვა დაავადებები, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის იმუნურ სისტემაზე. ეს ყველაფერი კი მიიღწევა ექიმთან დროული ვიზიტით.

ელზა ხარაშვილი

ამინდი		დედოფლის		ლისნეყარო	
ორშაბათი 29.03 დღე	სამშაბათი 30.03 ღამე	ოთხშაბათი 31.03 დღე	ხუთშაბათი 01.04 ღამე	პარასკევი 02.04 დღე	შაბათი 03.04 ღამე
1°	0°	1°	-1°	6°	5°
1°	0°	1°	-1°	8°	3°
1°	0°	1°	-1°	2°	1°
1°	0°	1°	-1°	3°	2°
1°	0°	1°	-1°	7°	5°
1°	0°	1°	-1°	7°	5°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნინო გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გომიშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანაშვილი (დისტრიბუტორი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფილიალის №18, ტელ. 0 356 22 22-87; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.